ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 132

« 28 » აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.036.046) შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/კ: 405141029) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.036.046) შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/კ: 405141029) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 მარტის №12.24.220 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/კ: 405141029) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) .

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი